ეროვნული
ბიბლიოთეკა

მარადი სიმაისეა ჩვენი ქუჩა და შენობა
და სიხარული ისეა, როგორც ტყის ფოთოლფენობა!

გალაკტიონი

ISSN 0132-6015

ნიანგი

9 83

გურამ შარაშიძე.

სადაც არა სჯობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გაემზადე! — სულთამხუთავივით დაადგა თავზე ჭრელაშვილს კონსტრუქტორი ბურძგლა. — ხვალ საღამოს მივლინებაში უნდა გამოგვყვე მე და ძველაიას. ჩაის ფაბრიკა შენდება შავიზღვისპირეთში ჩვენს მიერ დაპროექტებული ტექნოლოგიური სისტემით და მისი დამონტაჟება მკაცრ საავტორო ზედამხედველობას მოითხოვს...

— პირადად მე რა მეკისრება? — იკითხა ნასიამოვნებმა ტექნიკოსმა.

— ჯერჯერობით მხოლოდ სამი პლაკატის შოვნა ბათუმის მატარებელზე, — ცივი წყალი გადაასხა ბურძგლამ. — დამატებით ინსტრუქციებს მთავარი კონსტრუქტორი მოგვცემს.

მთავარმა კონსტრუქტორმა ძველაიამ ჭრელაშვილის მიერ რის ვაი-ვაგლახით ნაშოვნი ბილეთი ხელში შეაფრიალ-შემოატრიალა, სინათლეზე გახედა დაჩვრეტილ ციფრებს და უკანვე დაუბრუნა.

— სამწუხაროდ, მე ვერ მოვდივარ, — მოგუდული ხმით გაანდო მან ეშმაკურად თვალებმოჭუტულ ბურძგლას და გაოცებისაგან პირდაბჩენილ ჭრელაშვილს. — შაბათს ვაჟიშვილის ინსტიტუტში ჩარიცხვის აღსანიშნავი წვეულება გვაქვს და თუ არ მივდექ-მოვდექი, იმ ხალხთან პირშერცხვენილი დავრჩები, ბიჭის მოწყობაში რომ დაგვეხმარნენ. ერთი სიტყვით, მივლინებაში ორნი წახვალთ. ჩემი ბილეთი გაყიდეთ და სამაგიერო ჩამომიტანეთ — იქითობისა და აქეთობის, მანეთიანი აჩუქეთ გამცილებელს და ის მოგცემთ... ბულალტერიასთან ანგარიშის გასასწორებლად დამჭირდება. მივლინების ქაღალდიც დაამოწმებინეთ, ოღონდ ამის შესახებ კრინტი არსად დაძრათ!.. შაბათ საღამოს კი ორთავეს გეპატიჟებით, კეთილი მგზავრობა!

სამტრედიას რომ მიუახლოვდნენ, ახლა ბურძგლამ იკისრა ინსტრუქტორის როლი, ჭრელაშვილი კუპედან გაიხმო და ჰკითხა:

— მშობლები ხომ გყავს?

— როგორ არა, დედაც, მამაც...

— მე კი მხოლოდ მამა მყავს ცოცხალი. მარტოდმარტო ცხოვრობს გურიაში. რთვლობას ვერასგზით ვერ მოვახერხე ჩასვლა და ახლა, შენ თუ ხელს შემიწყობ, ღვინის გადაღებაში მაინც ვუშველი ბერიკაცს?

— მერე, მივლინება? — ვერ მიუხვდა ჭრელაშვილი.

— არა, შენ კი არ მოგაცდენ, — მხარზე ხელი წაჰკრა ბურძგლამ. — სხვა დროს ჭურის თავზე უნდა გაქეიფო!.. ახლა კი სჯობს გზა განაგრძო და საქმეს მიხედო. ჩადი, გაიარ-გამოიარე, დაენახვე მშენებლებს... დანადგარები შეათვალიერე, საავტორო ზედამხედველობის წიგნი მოიკითხე, ნახაზებში ჩაიჭყიტე... თავი თუ გამოიდეს და „პატივი გცეს“, ნუ გაინაზები... მიიღე კუთვნილი, რამეთუ ხარვეზებზე თვალის დახუჭვა და პირში წყლის ჩაგუბება — ესეც გაჭირვებული კაცისადმი დახმარებაა. ხელი ხელს ბანსო, ხომ გაგიგონია?.. ოღონდ ფრთხილად იმოქმედე, არ გაება და ჩვენც ხათაბალაში არ გაგვხვიო... მივლინების დამოწმება და ბილეთები არ დაგავიწყდეს, რბილს თუ იშოვი, უკეთესია. ძველაიას ჩემი სოფელში წასვლის ამბავს ნუ ეტყვი, მეგობარი კია, მაგრამ, ზოგჯერ თქმითაც დაშავდებისო, უთქვამთ. თბილისში რომ დაბრუნდები, გაწეული მუშაობის შესახებ მოხსენებითი ბარათის დაწერა დაგვჭირდება ბიუროს უფროსის სახელზე. ტექსტს სამივენი ერთად მოვიფიქრებთ და ცალ-ცალკე გადავათეთრებთ. აბა, შენ იცი, ბედნიერ მგზავრობას გისურვებ!

ეპილოგი

სპეციალური საკონსტრუქტორო გიუროს უფროსს!

განცხადება

გთხოვთ გამათავისუფლოთ სამსახურიდან სხვა სამუშაოზე, კერძოდ ჩაის ფაბრიკის მშენებლობაზე მემონტაჟეთა ბრიგადირად გადასვლასთან დაკავშირებით.

თქვენი ყოფილი თანამშრომელი
ჭრელაშვილი



— ნახე, ჩვენი ისიდორე აქაც მინას უთხრის დირექტორს!

გიგლა ფირცხალავა



ამიერიდან თავისი საყვარელი „ნიანგის“ რედაქციის კარს აღარასოდეს შემოაღებს გიგლა ფირცხალავა — მისი სარედაქციო კოლეგიის წევრი, მისი მოამაგე, მშვენება და სიამაყე, საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი!..

გარდაცვალების წინა დღეს კარიკატურისა და მეგობრული შარჟის, ხუმრობის ჭეშმარიტი დიდოსტატი მისთვის ჩვეული პუნქტუალობით, დათქმულ დროს, მოვიდა რედაქციაში და მოგვიტანა „ნიანგის“ დაარსების მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ნომრისათვის ნახატი კარიკატურები, მეგობრული შარჟები და სალაღობო სტრიქონები მეგობარ მხატვრებზე.

სამწუხაროდ, გიგლას ეს მობრძანება უკანასკნელი აღმოჩნდა და ვეღარც „ნიანგის“ საიუბილეო ნომერს იხილავს იგი. შარშან თავადაც 60 წლისა გახდა და ჩვენი პრესა ფართოდ გამოეხმაურა ამ თარიღს. „ნიანგიც“ მოეფერა, როგორც შეიძლო!.. მთელი საქართველო ემზადებოდა მისი — ნამდვილად სახალხო მხატვრის — იუბილესათვის, დიდი სატელევიზიო გადაცემაც თითქმის მზად იყო. ვაგლახ, რომ ვეღარ მოესწრო!..

არადა, როგორ დაამშვენებდა ჩვენი დიდებული გიგლა მშობლიური ჟურნალის 60 წლის თავის იუბილეს, მისი ისტორიის ექვსი ათეულიდან ის ხომ ოთხ ათეულ წელზე მეტი, ღვთით მომადლებული, იუმორში ჩაქსოვილი, სულისა და გულის გამნათებელი და გამხარებელი ნიჭით, მთელი გრძნობითა და ერთგულებით ემსახურა „ნიანგს“! 1941 წლიდან არ გამოსულა „ნიანგის“ თითქმის არც ერთი ნომერი, მასში რომ არ გამოსხივებულიყოს სიყვარულით შეზავებული გულითადი ღიმილი გიგლა ფირცხალავასი — კარიკატურა იქნებოდა ეს, მეგობრული შარჟი, ფრთიანი ფრაზა, მახვილგონივრული ხუმრობა თუ გულთბილი ირონია. და ყოველივე ეს ღრმა, შინაგანი, სისხლხორცეული, ამავე დროს, სადა, პლასტიკური, ემოციური და სამუდამოდ ქართული გახლდათ, ყოველ მათგანში მხატვრისათვის მთავარი იყო ეროვნული სულისა და ხასიათის ხაზგასმა.

და, ამავე დროს, როგორი მწავე, ბასრი და დაუნდობელი იყო გიგლა ფირცხალავას მებრძოლი სიცილი, სატირული ყალამი! ჯერ კიდევ დიდი სამამულო ომის წლებში მიიქცია ყურადღება ხიშტით დახატულმა, ლახვარივით მოქნეულმა ახალგაზრდა მხატვრის პოლიტიკურმა კარიკატურებმა, აგიტფურცლებზე რომ იბეჭდებოდა.

მერე კი მისმა თვითმყოფმა და უნიკალურმა შემოქმედებამ ნამდვილად საყოველთაო-სახალხო აღიარება და მოწონება დაიმსახურა, რაც კარგა ხანია გასცდა საქართველოს ფარგლებს.

1952 წლიდან გიგლა ფირცხალავა სისტემატურად თანამშრომლობდა ჟურნალ „კროკოდილში“, იბეჭდებოდა როგორც საკავშირო, ისე საზღვარგარეთის ჟურნალ-გაზეთებში. მისი კარიკატურებისა და მეგობრული შარჟების კრებულები მრავალჯერ გამოიცა ჩვენშიც და უცხოეთშიც. გამომცემლობა „პრავდამ“ 1968 წელს დასტამბა ალბომი — „გიგლა ფირცხალავას კარიკატურები“. მხატვრის საიუბილეოდ გამომცემლობა „სოვეტსკი ხუდოჟნიკმა“, 1982 წელს, სერიით — „საბჭოთა კარიკატურის ოსტატები“ — დაბეჭდა მისი რჩეული ნაწარმოებების კრებული ნოდარ დუმბაძის წინასიტყვაობით.

1951 წლიდან გიგლა ფირცხალავა რესპუბლიკური, საკავშირო და უცხოეთში მოწყობილი სხვადასხვა გამოფენების მუდმივი მონაწილეა, რამდენჯერმე მოეწყო მისი ნამუშევრების პერსონალური გამოფენა. პოლიტიკური სატირისა და პლაკატის სფეროში გიგლა ფირცხალავას ნაყოფიერი მოღვაწეობის აღიარება იყო ის, რომ 1969 წელს მოსკოვის საერთაშორისო გამოფენაზე — „სატირა მშვიდობისათვის ბრძოლაში“ — პლაკატისათვის „თავისუფლება — აფრიკას!“ — მხატვარი დაჯილდოვდა სამახსოვრო მედლითა და საპატიო სიგელით.

დიახ, გიგლა ფირცხალავა მრავალმხრივი შეოქმედი იყო: მოქანდაკე (სწორედ ქანდაკების განხრით დაამთავრა მან თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია), ფერმწერი, გრაფიკოსი, პორტრეტისტი, პლაკატისტი, კარიკატურისტი, ამასთან იუმორისტი მწერალი, სალაღობო ლექსთა გამომთქმელი, ჟურნალისტი, იმპროვიზაციის იშვიათი უნარით დაჯილდოებული კაცი. „ნიანგმა“ თავისი ბიბლიოთეკის სერიით 1977 წელს გამოსცა გიგლას სატირულ-იუმორისტული ნაწარმოებების კრებული. დიდი რუდუნებით და სიყვარულით გაუფორმებია თვითონ გიგლას ქართველ იუმორისტ მწერალთა წიგნები.

გიგლა ფირცხალავა დიდად პოპულარული, სიყვარულით გარემოსილი მხატვარი იყო. ქართული ხალხური იუმორის სიბრძნითა და სიმახვილით წყაროსთვალით ნასაზრდოები ჭეშმარიტი მამულიშვილის შემოქმედება შეიყვარა და გაითავისა ჩვენმა ხალხმა. გიგლას ფეხით ჰქონდა მოვლილი საქართველოს მთა-ბარი, მონაწილეობდა ფოლკლორულ ექსპედიციებში, ინერდა ქართული ხალხური იუმორის მარგალიტებს... შარშან, ოქტომბერში შატილში, ხევსურეთის ძველი მინის განახლების დღესასწაულზე გაჩაღებულ კოცონთან ლექსითა და ხუმრობით, ცეკვითა და სიმღერით გაახარა და გაახალისა ამ დიდი ეროვნული ზეიმის მონაწილენი.

ასე, ერთიასად უბრუნებდა იგი ერთი პატარა, ჯადოსნური ფერადი ფანქრითა და ფუნჯით უზომო სიყვარულს თავის კეთილ ხალხს, თანამემამულეთა უზომო სიყვარულით დღენიადაგ მთვრალი, მამულისათვის თავდადებული, ნათელი სულის, წმინდა გულის მხატვარი.

უაღრესად კოლორიტულ პიროვნებას, ჭეშმარიტ ჯენტლმენს, ნაღდ თბილისელს გულთან მიჰქონდა საყვარელი დედაქალაქის ცხოვრება, დადიოდა ქალაქში და გიღიმოდა, გესალმებოდა უბრალოდ, მეგობრულად და თავმდაბლურად. სხვებს კი უხაროდათ, რომ გიგლა მათთან ერთად ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. „სულ გამოფენილი ვარ. კარჩაკეტილიაო, ვერავინ იტყვის ჩემზე!“ — იცოდა თქმა.

გიგლას — უსპეტაკესსა და უპატიოსნესს, დიდსულოვანსა და ნათელ კაცს პირადი ცხოვრება თითქმის არ ჰქონია! — იგი თავისი ქვეყნისა და ხალხის ცხოვრებით ცხოვრობდა და მას პოეტის თქმისა არ იყოს, „უსინდისობა აცოფებდა და აყვირებდა!“ — ვინ იცის, რამდენ ჩვენს ანტიპოდსა და არაკაცს უცვნია თავი მისი კარიკატურების გმირებში, რამდენი ნეგატიური მოვლენა, მთლიანი საქართველოს ავ-კარგი გამოუტანია სატირული სიცილის სამსჯავროზე.

გიგლა მეგობრობისა და მეგობრებისათვის იყო დაბადებული და ბოლომდე ერთგულად, ვაჟკაცურად ატარა მან მეგობრობის უღელი. თუმცა იოლად არავის მიუშვებდა თავის სიახლოვეს, ოღონდ, თუ მიუშვებდა, მისთვის თავს არ დაზოგავდა. სხვისი წარმატებებით, სხვისი სიხარულით გახარების, სხვისი ღირებულებების დანახვის იშვიათი უნარი ჰქონდა. თვითონ მას კი, საუკეთესო ადამიანური თვისებებით დაჯილდოებულს, არასოდეს დაუკარგავს წონასწორობის გრძნობა იმ ესოდენი პოპულარობის გამო, რომლითაც სარგებლობდა, ყველგან და ყოველთვის, ყველასა და ყველაფრის წინაშე გრძნობდა შემოქმედის, პატრიოტისა და მოქალაქის პასუხისმგებლობას, მთელი თავისი ცხოვრებით კეთილშობილებასა და სისპეტაკეს განასახიერებდა და, ამავე დროს, როგორ ირონიულად იყო განწყობილი საკუთარი თავისადმი (მისი ავტოშარჟები მოვიგონოთ!). ვისაც თვითირონიის გრძნობა არ გააჩნდა, მასაც ირონიულად უყურებდა ბუნებით მხიარული — ზმის, ექსპრომტის, კაფიის, ნაკვესის ჩინებული ოსტატი იყო — უყვარდა ამო ლაღობა „ამხანაგთა სათრევლად“. სულითა და გულით რაინდი სპორტსმენი იყო ბავშვობიდანვე და ასეთად დარჩა ბოლომდე. როცა რედაქციაში შემოვიდოდა, ყველა გადაუდებელ საქმეს გადავდებდით და მის ნებასა და განწყობილებას ვემორჩილებოდით.

... იგი გვიყვარდა, როგორც ნუგეში!..

ჩვენო საყვარელო და დიდებულო ძმაო გიგლა, „გემშვიდობებით სამარადისოდ, სამარადისოდ გემშვიდობებით“ შენი სათაყვანებელი გალაკტიონის სტრიქონებით: „ქარვათა მორევში დაეშვა ფარდები—საღამო კანკალებს შიშით და რიდობით, საღამო ნელდება და კვდება ვარდები, მშვიდობით, მშვიდობით, მშვიდობით!“

ჟურნალ „ნიანგის“ სარედაქციო კოლეგია
რედაქციის კოლექტივი

„ნიანგის“ მცირე ენციკლოპედია

ვასილ ჩიკვილაძე — რუსთავის დოსააფის ავტოსკოლის მასწავლებელი. დააკავეს მაშინ, როცა თავისი მსმენელებისაგან... ქრთამს იღებდა. ვასილმა წარმატებით გაინაღდა ერთ-ერთი პირველი ადგილი იქ, სადაც მექრთამეები სხედან!..

ვაჟა პარშინი — გორის რაიონის სოფელ ხიდისთავის №15 პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლე. უშეცდომოდ მივიდა ქ. გორში, წინასწარ შერჩეულ ადგილას, იქ მდგარი ავტომანქანა ქალაქგარეთ გაიტაცა და სახელდახელოდ დამალა. სწორედ ამ დროს თავზე დაადგნენ წესრიგის დამცველნი და „ნერვები აუშალეს“!..

ნუგზარ ბენიას და მერაბ ბოკუჩავას — ქალაქ ოჩამჩირის „გმირებს“ ძვირად დაუჯდათ თავდასხმა მოქალაქეზე, რომელსაც პორტატული მაგნიტოფონი გამოგლიჯეს ხელიდან. მილიციის მუშაკებმა ნივთი პატრონს დაუბრუნეს. მძარცველებს განსასჯელთა სკამი ელით!..

ივანე ხაჩიურმა — ცხინვალის „ხილბოსტანვაჭრობის“ №3 მაღაზია, აქაოდა, გამყიდველი ვარო, საწველ ფურად გაიხადა, მაგრამ ფხიზელ თვალს რა გამოეპარება: მილიციის მუშაკები დაინტერესდნენ ივანეს „მოღვაწეობით“. ცხადი შეიქნა რომ მან უკვე დაიტაცა სამი ათასი მანეთის პროდუქტები. ახლა დამტაცებლის მადა შეკვეცილია. იგი ზის და ელოდება სამართლიან განაჩენს!..

დავით მაისურაძე — წინათ ნასამართლევი და შრომას თავარიდებული — ეწვია მასავით უსაქმურ გორელ რომან ურუშაძეს. მათ მიეტმასნა გორის № 9 სამშენებლო ტრესტის მუშა თეიმურაზ ბლიაძე. სამივე შეიპარა მოქ. გ.-ს ბინაში, სადაც ნივთებს აგროვებდნენ. ეს სამეული „სავსებით მოულოდნელად“ შეიპყრეს გორის შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების მუშაკებმა!..

რევაზ ზარიძეს — გორის რაიონის სოფელ ხურვალეთის მკვიდრს — მხურვალედ უყვარს განსასჯელის სკამზე ჯდომა: 50 წლის კაცმა ერთხელ უკვე მოასწრო ციხეში ყოფნა. გამოვიდა იქიდან და ქალაქ გორში, ტროლეიბუსში, ჯიბის ქურდობას მიჰყო ხელი. ის, ამ „შავ საქმეზე“, სწორედ მაშინ დააკავეს მილიციის მუშაკებმა, როცა ასი მანეთი ამოაცალა ჯიბიდან ერთ-ერთ მგზავრს. შერცხვენილი რევაზ ზარიძე კვლავ დაადგა ციხისკენ მიმავალ გზას!..

გიორგი ბალიაშვილს — დაბა წყნეთის „უწყინარ“ უსაქმურს, შეუერთდნენ მუქთახორები კახაბერ შახულოვი და ლევან აივაზოვი. მათ გაიტაცეს სხვისი კუთვნილი ავტომანქანა. ბევრი ირბინეს თუ ცოტა, ისინი სახელმწიფო ავტოინსპექციის მუშაკთა თვალთახედვის არეში მოექცნენ. კანონიერების დამცველებმა სამივენი დააკავეს!..

მამუკა ბაბუხადიამ არც აცივა, არც აცხელა და მეზობლის ბინის გაქურდვის გეგმა გამოაცხო. გეგმას შესრულება უნდაო და მოქ. ტ.-ს ბინა აიკლო. მამუკას „მოღვაწეობას“ წერტილი დაუსვეს მილიციის მუშაკებმა. ახლა სახალხო სასამართლო „ზრუნავს“ მამუკა ბაბუხადიასათვის ახალი „საცხოვრებელი — ბინის“ გამონახვაზე, სადაც რამდენიმე წელი უნდა გაატაროს ტყიბულის № 19 პროფტექნიკური სასწავლებლის ამ ოცი წლის მოსწავლე-ავაზაკმა!..

იოსებ ჯანაშია — გეგეჭკორის რაისამომხმარებლო კოოპერაციის დიდი ჭყონის პროდუქტების მაღაზიის გამყიდველი ფარულ „შეჯიბრებაში“ ჩაება შერეული მაღაზიის გამყიდველ შალვა ბარამიასთან, რომელი უფრო მეტ სახელმწიფო სახსრებს მივითვისებთო. ამ ავადსახსენებელ „შეჯიბრებაში“ იოსები დამარცხდა — მან 1.711 მანეთი სახელმწიფო სახსრები მიითვისა, ხოლო შალვამ — 2.733 მანეთი! მათი „შეჯიბრების“ შედეგები საგამოძიებო ორგანომ მიუდგომლად შეაჯამა: ორივე დამარცხებულად სცნო და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცა!..

იზოლდა ტულუში და ანზორ სანაია, როგორც ქორვაჭრები, ამხილეს საქართველოს სატრანსპორტო შინაგან საქმეთა სამმართველოს მუშაკებმა (იზოლდა ფოთის სანეპიდსადგურის ინსტრუქტორი იყო, ხოლო ანზორი — ხობის საგზაო-საწარმოო უბნის მშენებელი ოსტატი). ორივემ წესად გაიხადა: მიატოვებდნენ სამუშაოს, ჩავიდოდნენ მოსკოვში, იქიდან მოჰქონდათ სამრეწველო საქონელი და მამასისხლად ჰყიდდნენ!..

კარლო ციკნელიძემ — მახარაძის რაიონის სოფელ შრომის მცხოვრებმა ფრიად უშრომლად იშოვა სასაქონლო ზედნადების სუფთა ბლანკი, სადგურ სუფსას ეწვია და სასაქონლო ზედნადები წარადგინა. იქაურმა მესვეურებმა მას 42 ტონა მარცვლის ნაკმაზი მისცეს და შინ მიიტანა.
მოხდა სასიკეთო ამბავი: კ. ციკნელიძეს მილიციის მუშაკებმა ნაკმაზი ჩამოართვეს და მის ნამდვილ პატრონს — კოლმეურნეობას ჩააბარეს. რა თქმა უნდა, ნაკმაზის უკანონოდ მიმთვისებელი საციხედ შეკაზმეს!..

„ნიანგის“ იურიკონიული კონსულტაცია

კითხვა: ვშობე და აღვზარდე ოთხი შვილი, აღვზარდე აგრეთვე ათი შვილიშვილი და ჩვიდმეტი შვილიშვილის შვილი. ამჟამად მოხუცებულობისაგან დაუძლურებული ვარ, ჩემს მდგომარეობას კი არც ერთი არ კითხულობს.
გთხოვთ განმიმარტოთ, რა ვქნა?
პასუხი: უნდა შობოთ და აღზარდოთ მეხუთე შვილი!

●

კითხვა: მე და ჩემს ქმარს გვაქვს ხუთოთახიანი ბინა. ჩვენთან ცხოვრობს ჩემი დავრდომილი დედამთილი, გვინდა, ბინა გადავცვალოთ ოთხოთახიანსა და ერთოთახიანზე (დედამთილისათვის!)
გთხოვთ გვირჩიოთ, რა გავაკეთოთ?!
პასუხი: დედამთილი გაათხოვეთ!

●

კითხვა: მყავს მეუღლე და ერთი ვაჟი. ჩემმა ძმამ ერთი თვის წინათ შეირთო ცოლი. გთხოვთ გვიპასუხოთ: ეკუთვნის თუ არა ჩემი ძმის სამოთახიანი ბინა, რადგან იგი უშვილოა, ჩემს მეორე ვაჟს, რომელიც მე და ჩემს მეუღლეს გვინდა, აწი რომ გვეყოლოს?
პასუხი: ნიანგმა გამოიკვლია და დაადგინა, რომ თქვენს ქმარს სოფელში ჰყავს თექვსმეტი წლის და, რომლის გათხოვების შემდეგ მისი წილი სახლი აუცილებლად ეკუთვნის თქვენს მესამე შვილს!

კონსულტანტი — გ. კახიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის ერთი!..

ექიმთან ვიყავ, — მიშველა
(ვარ ავადმყოფთა სიაში!)
რეცეპტით ხელში იქიდან
მივედი ჩვენს აფთიაქში.

— დაგეხმარებით, გიშველით,
ვერ შევძლოთ, რაა ისეთი?!
ოღონდ, არა გვაქვს წამალი, —
თქვენ რომ გჭირდებათ,
ი ს ე რ თ ი!..

●

„ჟიგულს“ რალაცამ „აწყინა“! —
დღესაც არ ვიცი, რა სტკივა!..
დასახმარებლად მივმართე
ჩვენს ავტოპროფილაქტიკას.

— დაგეხმარებით, გიშველით,
ვერ შევძლოთ, რაა ისეთი?!
ოღონდ, არა გვაქვს ნაწილი
თქვენ რომ გჭირდებათ,
ი ს ე რ თ ი!..

●

ნეტავი, გამაგებინა,
(კაცი ხომ ცოცხლობს იმედით?!)
სად არის ჩემი „ი ს ე რ თ ი“,
ან ვინ სარგებლობს
ი მ ე რ თ ი თ?!

ლევან სულავა
(ქ. ქუთაისი)

ნახ. ზ. ფორჩხაძისა

— რატომ არ ხსნით ამ ტელეფონს?! ხომ ხედავთ, სულ არ მუშაობს?!
— სამაგიეროდ, ეს მაინც არის ყოველთვის თავის ადგილზე!

რჩევები, წინადადებები

● **თუ** ხურდას არ გაძლევენ, ნუ აყვირდები, თორემ კაი ხურდას მიიღებ!

● **გიხაროდეს,** ტაქსის მძღოლი რომ ორმაგს გახდევინებს — ორ კაცად გთვლის!

● **წყალი** თუ არ მოდის, გულზე ცეცხლს ნუ მოიკიდებ! — რითლა ჩააქრობ?!

● **კაცი** მოკვდა?! — რა დროს გლოვაა, გავარდი ხორაგის საშოვრად!

● **თავი** ქუდში რომ გაქვს, კარგია, მაგრამ, მთავარია, ქუდი ნამუსისა იყოს!

● **ყველაფერი** თუ დაივიწყე, ის მაინც გახსოვდეს, რომ ყველაფერი დავიწყებული გაქვს!

● **გინდა,** ღვინოზე გაიმარჯვო?! — ნუ გაეჯიბრები მას!

რომან ზუკააკიშვილი
(საგარეჯოს რ-ნი)

ნახ. მ. აბაშიძისა



— გაიღვიძეთ, მეგობრებო! მოხსენების მეორე და მესამე ნაწილები უფრო საინტერესოა!

ნ. ელინი, ვლ. კაშაევი

რეკვა დაკეტილ კარს

ანონიმური, ცხოვრება რომ უნდად ვასაარეკლოს ხან სიხარულით, ხან მოულოდნელობით, ხან მწუხარებით, ეს ცხინილი ამბავია. მაგრამ რა სიხარულით დაგვასაჩუქრებს იგი, სამეცნიერო, ამა და ამ დღეს, — ეს წინასწარ არასოდეს არ იცი ადამი. ეს, თუნდაც მაგალითისათვის, გასულ კვირას ჩვენი პოლიკლინიკის მთავარმა ექიმმა გამომიძახა ხელ, უბრალოდ, გულლაღ მომმართა:

— წინდაწინ გიგხით მადლობა, ბატონო ბაკალ!

— რას ბრძანებთ?! — ვუპასუხე, ბატონო პორფიდან, რისთვის, ღვთის გულისათვის, რა ხდება?!

— რა და, — მიხსნის ის,— ხვალ დილით სამსახურში არ მოხვალთ! სამბაგიერად, მშვენელობაზე ნახვალთ! ეკითხეს, საცხოვრებელი სახლის მშენებლობაზე დაგეხმარეთო! ჩვენ ვითათბირეთ, ვითათბირეთ და გადაწყვეტეს, რომ თქვენგან დაგინყოთ თქვენ ისეთი გამოცდილი სტომატოლოგი და ისეთი შეგნებული ადამიანი ბრძანდებით, დარწმუნებული ვარ, ჩვენს კოლეტქივს სირცხვილს არ აჭმევთ!

— მერე, მშენელობაზე ეს რა უნდა გავაკეთო?! — ეკითხეს ბი. — პროფილაქტიკური დათვალიერება ჩავატარო, პირის ღრუს სანაკეთა, თუ ესეთი შეენეს ამოსაღებო?!

— არა, — მიპასუხა მან, — ავარს გადაზიდავთ, სამშენელო ნაგავს გიიტანთ და ა. შ.

— მადლობელი ვარ ზდრუბისათვის, მაგრამ ხვალ არაფერი არ შეშიძლია: ორი რიგი კბილი მაქვს ამოსაღები და ოთხი დირიმანიანი ავადმყოფი მყავს მისაკეთები

— არადერი მოიკეთ, მოიცადონს! კიდევ ერთი დღე იარონ საკუთარი კბილებით! ხოლო მშენელობა ვერ მოიცდის! უფერთან მშენელობაზე, მუშაობენ არ ბეოფენთ! ჰოდა, მთელი რაიონი დანუსებულებებს სთხოვეს, დამმბარე მუშის სახით, ორმოცი კაცი გამოეგზავნოთ!

— კი მაგრამ, თქვენც ხომ იცით რა დღეში ვარ?! ჩემი შეგცველი ექიმი ავადაა, ხალი იმდენია, მოლაბაზე ორი კეიერი ადრე ეწერებინა.

— საკირაოა, ამხანაგო პავლე! — მოხარა და მხარზე ხელი დამადო. — ხომ გესმით, რომ საჭირო?! პირადად ჩემთვის კი არა, არამედ ჩვენთვის, რაიონისათვის, ჩვენი ქალაქისათვის!

რა გაენყობიდა-მეთქი, რადგან ასე უჭირთ, განა ასეთი შეუფერებელი ეარ?! მოკლედ, მეორე დღეს, დილით, ჩვეულებრივზე ადრე ავდექი, ალაგებენი არ გავაკეთე, ძველი ფესსაფენელი ჩავიცვი და პირდაპირ მშენელობაზე გავედე. ზუსტად დროზე მივედი. ორმოცივემ მოვიყარეთ თავი. ორმოცმა ეფერგიულმა, შენარჩუნებმა ეფექტმა, მოგალეტების გრძნობამ რომ მიგვაგზავნინა ჩვენ-ჩვენი ღვიძლი საქმე. დავიმკლავეთ, ოთხ-ოთხად დავეგვაუფდით და... ფონინის თაბაშს შეეფდენით. მეტი გასაკეთებელი იქ არაფერი იყო. ჯერ ერთი, ბეტონი აროსად ჩანდა, მეორეც, კომეურა-ანნე გამნეფრილიყო რომელილაც ობიექტზე. მესამეც, ბატონ ისიდორიც, რომელის გამგეტობაშიც ვიოთელებოდით ჩვენ, აქ თუ-თუ, ორშაბათიდან მოყოლებული „ეუფენენდა", როგორც გასგეგიმარტეს. მართალი გითხრათ, ეჭეი შეეხარა, ვიფიქრე, ამნენ ბუფენებს ალბათ და ბატონი ისიდორე იქნება გამხენილი რომელილაც სხვა ობიექტზე-მეთქი. მოკლედ, ასეა თუ ისე, ფსეფდენი და ვეთამაშობთ. აღმოჩნდნენ ჩვენს შორის ისეთენები, ვისაც ნაკლებად ჰქონია მოგალეტების გრძნობა გაგვითარებული და ითხოვეს, სასსახურში გაგვიმეფთო. მაგრამ მშენელობის ხელმძღვანელობამ შეარეხეთნა ეს შეუფენელი ამხანაგები და რომაბმს ფიერის შეშდეგ, ჩვენი მოგალეტების გრძნობა სხვა არ. ზზე გადართო.

— რა ბეჯნიერი დამთხვევაა, ზუსტად დღეს რომ მოხვედით! საქმე ის არის, რომ სხორედ დღეს აუცილებლად უნდა გავგზავნოთ ბოსტნეულის ბაზაზე ოთხმოცი კაცი. ბაზას გაორკვევაქვს და ჩვენი ერთობილი მოგალეფობა, დაეხმარონ მაგ! ახე რომ, ახლავე წადაალი ბაზაზე და შეუფდეთი მუშაობას. ჩვენ კი საღამოშეფე აქ კიდევ მოგაგზავნეთ ხალხს და საღამოს შეგეცალეთინ! ფორმალური მხარე ნუ შეგაწუხოთ, ოფიციალურად გაგატარებთ, რომ მთელი დღე მშენელობაზე იმუშავეთ!

ზოგიერმა ახირებულმა პრატეტენი გამაკაფინა: ეს ხომ უმსგავსობაა, ასეი საფალუნეს როგორ დადგამსმედეთ, ჩვენ მშენენელობაზე გამოგეგზავნეს და ეარ ბოსტნეულის ბაზაზეო?! ერთობ ეკითხეთ ეს პასუხი მშენენელობის ხელმძღვანელობამ. სასტვენ დარნმა. საფალან ასეთი ჩამორჩენილი ეზრენო?!

— ნუთუ არ ბეკნმი, რომ ბოსტნეული ილუებაა?! და თუ ძალიან ეზეკადი ინეოდეთ, მისი გადარჩენა ითითოეული ფქენენთაგანის ღელი საქმეა! თქვენ რაიონის, ქალაქის წინაშე ხართ მოვალენ!

გაგვიგეს ამ სიტყვებმა. აეშალეთ ფონინი და ბეტეერრროდ. ბით ბეიარალეფულებმა სიმეერით გავეფეთ ბოსტნეულის ბაზისაკენ.

ბაზაზე უკვე გველოდნენ. ადგილიც გამზადებული დაგვეფვა ფაკიმლეადეთ, ოთხ-ოთხად დაეეგვაუფდით და ფონინის თაბაშს შეეფდენით. ბოსტნეული ჯერ არ იყო შემოხიდული, ფიერმე ირეკ ეფო გადაკლისნინებული შემოტანანა. ამასთან, ქალბატონი მარია, ვინაც ჩვენი დახეფდრა ვეალეფინდა, შეცდენებაზე გასეფი ჯერ კიდევ ბეშინ.

რა გვინაღვლება, რა?! ასეა საჭირო?! კი, ბატონო, ჩვენც ესხეფდარი და ეთამაშობთ. ვიხედი ჩვენს მოგალეფობას ალაინეს, ქალაქის ნინაშე. სუსტმა მოთამაშეეემ ისეე ითხოეა, სამსახურში გაგვიმეფთ, მაგრამ ბოსტნეულის ხელმძღვანელობამ თავეს მხრივ პრინციპალური გამოირინა.

— რა სიმფისთი გვთხოეთ სამსახურში გაგზავან?! — ეკასუხეს ბაკვიერებულებმა. — ამ გამგეეტენალ ეფრანგ ბეფენ ეფრანგ ეარ შეგიძლათ მებოსტნეობის ფერობეკა ეფატარ?! ეკანან — ეო. ამეთ, რომ ბოსტნეულის უბანზე ეკეფალეს მეტენ ეკეკეარ. სნრონდ ახლა?! ამას აკეობენ... მოდი-ალ, ახე ბოლეენ! ეკეა ნეფილ ეენ! ფეფ ჩვენს ნიველ კეკიბენი ეილაც მნრალობან შენენენ გავაკეკარგა ხანია, ჩამოსულია, ბოს და იფდის. ხალს ვერ მოიეეკეფრეთ ოფეი. ეფობა — შენენენაზეა ჭამა ვერ მოგასანინო, მეორეც ხელი მგაკეკეთ, მესამეს საერთოდ ეკრს აკლია. ეკეკანენელად რომ გითხრათ, ჩვენთან კაცს ლაქეკეიაზე ეერაფერი ვერ მეოტეკეკ, არ ეკეკარო სამუშაოსგან მოკეკეა, შენენენის ღრნაკეკეკ კი, ჰოდა, შეარძანებეთი ნიველ კეკიბენი, თორემ ეეკრრეფულია ინ მნერნალთან, ორი კინკოდა კაკეი ეენის. ზეარძანებეთი, ლაქეკეი მოიისმენთ! ჩვენ კი გავატარებთ, რომ მთელ დღეს ბოსტნეულეს არჩევდეთ!

ხკამებინანად შეეფალადეთ ნიველ კეკიბენში, ლაქეკეი სიამოვნებით მოგიმსმენთ. ყველაზე დიდი ბედნიერება ის იყო, რომ მნერალს ალარანდ გავეკეზანეფიერთ. მოგალეფობის გრძნობაზეა ჩაგეკარნა ლაქეკეი.

მერე მოგეკეკ ცნობა, რომ ამა და ამ მშენენელობის ამა და ამ მუშაობენა ბოსტნეულეთ ბაზაზე სხვადასხვა ბოსტნეულეი გადარჩენენ. ამ სამუშაოთი მიეფილნი მშენენელობაზე ალინაშენეი საბუთი გამოგვანოეს და სამაგიეროდ მოეკეკეკ. მეორე, რომ ჩვენ დამკერელრანდ ეფუშაეფთ გასაკეკი ობიექტის მშენენელობაზე. შენენეკ ეს ცნობა მიგერთეთ ჩვენს მთავარ ექიმს! და ამ საათების სასაეკეფოდ მეორე დღეს დამმბარეთ.

რა თქმა უნდა, ზეადმეკი დასდგენის დღე ერთობ სასიამოვნოა, ლაქეკეის მოსმენაც სასარგებლოა, მაგრამ თავადაო ეს ჩოდა, თავადაო ის აჩინს, რომ ერთ ღელეში ამდენ ხალხს დაგეემარ და ან, რომ ჩემი მოგალეფობა ბრინალდად შეეანარეკ

თარგმნა **ლია ალეფინამ**
„ლიტერატურული გაზეთა" № 19, 1982 წ.

ნახ. ბ. დეინეკისა

— დღეს ეს ბოიდეს მაგს ნუ მოეკიდავ, სამსახურშიც უნდა შეეფარონო!



(ფოტოზანალი „ კროკოდილისა")

ნახ. ბ. ვასილაშვილისა

— დისციპლინის განმტკიცებაზე მინდოდა საუბარის ჩატარება და ყველანი არ გამქრალან?!



„ანეკდოტის" ალბომიდან

სახელად — სალობე ვარ,
ისე — სალუდი, სანნადელ..
ამას, როგორმე, ავიტანე, —
რომ სხვა სირცხვილი არ მწვავდეს:
დახლს მიდგას **მ ა რ ი დ ა ვ ი ლ ი** —
კაცი — ამაყი, თავნება —
ერთი წლის წინათ დაწერეს
იმისი მოხსნის ბრძანება!..
თუკი წყნარიგი მოსახოვე. —
„ხაჩკვება" იცავს! — ივეკი!
ვერ ვიგვანი, მოხსნილია თუ
მკვდრეთით აღმდგარი ქრისტეა?!
ამ ჩემს კალეებში, ნინაგო,
ერთად დგას ხეკი და სუსხი!..
რატომ ორდევეკ კანონი?! —
იქნება, შენ გაგცენ პასუხი?!

ჟალელი
(გარდაბნის რაიონი)

ნახ. ბ. ვასაშვილისა

— მერე ჩემთანაც შემოაგდე, თავბირი მაქვს ჩასატარებელი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი სტუმარია პოეტი ოთარ შალამბერიძე

მეგობრული შარჟი გიორგი იარალიანისა (ქ. ერევანი)



გოლოს ასე გადავწყვიტე!..

გადაკრულში კი ვარ, მარა
როდი ვამბობ
გადაკრულად!—
სათქმელი თუ დროზე არ თქვი,
მაშინ ქუდი რადა გხურავს?!.

გადაკრულმა საბურავმა
ამანთო და გამახურა:
ათჯერ ასი კილომეტრიც
ვერ ვიარე ამაყურად!..

ჯავრმა კრიჭა შემიკრა და,
ვით მორწმუნე, მამარხულა!..

სამჯერ ვსინჯე!.. სად წავიღო
მე ამდენი ხარახურა?!.

საბურავი ისე ბრუნავს,
მიჩანს ცხენის თქარათქურად!..
„შემთხვევაა!“ — მითხრეს,
თუმცა
სულ შემთხვევა სადა თქმულა?!

ყველაფერი მოგვარდება,
მტკიცედ მჯერა, განა ვეჭვობ,
მაგრამ მაინც გადავწყვიტე:
აღარ წავალ საგარეჯოს!



დროული წინადადება

რა არ ვიღონე თავიდან,
რას არ მივმართე ხრიკებს, —
თამბაქოს წევას, როგორმე,
გადავჩვეოდი იქნებ!..

გამოსავალის ძებნისას
სულ სხვა მიჩვევამ მომკლა:
ხან — მზესუმზირას კნატუნმა,
ხან — კანფეტების ლოკვამ.

საშვილიშვილო საქმეში —
(სწორს რომ მივაგენ გზასა) —
თვით თბილთამბაქომ
მიშველა,
ღმერთი უშველის მასაც!

მიტომ კი არა, რომ წეკო
კაცის მოშხამვას ლამობს,
წევას შევეშვი მისივე
უხარისხობის გამო!

ამაზე დიდი სიკეთე
რალა იქნება, ძმობასა?! —
რაც უფრო მეტ წუნს ვიპოვით,
მით უფრო მეტი მომბაძავს!

წინადადება შემომაქვს
(თუ ამის ნებას მიბოძებთ):
რომ თბილთამბაქო
დროულად
წარდგენილ იქნეს ჯილდოზე!

ახლა ცეცხლგამძლე ყუთს ვეძებ!..

ფოსტის ქურდობა გაჩაღდა,
ღმერთმანი, როდი ვაჭარბებ! —
ჩანთებიანი ბრეზენტის
გამო ვერ ავცდი საჯავრელს!..
რალა ვქნა, ხომ არ შევაბამ
რკინის ვეება ანჯამებს?! —
ხელმრუდი ინტელიგენტი
გაზეთებს არ მიჭაჭანებს!..

თავისი ყუთიც ნიადაგ
ცარიელია, რადგანაც.

სხვისი ყუთების შემყურე,
არაფერს იწერს სატანა.
ჩემს ხარჯზე ხარჯებს გაურბის,
არ გინდა ამის ატანა?!

ეს დავადგინე მაინცა,
რაც ღვთისგან დასაგმობია:
განათლებულსა მწაპნავსა
უბირი ქურდი სჯობია!
ნერვების აშლას არ ვჩივი, —
როგორც ამბობენ, — გამიარს!
ახლა ცეცხლგამძლე ყუთს ვეძებ
და ბოქლომს ათასგრამიანს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახ. ზ. ლეჟავასი

— რას შვრები, კაცო?! სად მიგაქვს ეს სპილოს ძვლის ჭადრაკი?!

— აბა, რა ვქნა?! სახლში ამისთვის არავის გცალიათ და სამსახურში მაინც გავირთობ თავს!..

ყანწა

ლიტრიანი ყანწით
ღვინო რომ ჩაყლანწა, —
ვაუკაცობა უქეს
და შეარქვეს ყ ა ნ წ ა!
თამადობის წესიც
აითვისა სრულად,
ჩასძახოდა ყველას:
„შესვით ვაუკაცურად!“
ქელეხსა თუ ლხინში
ყანწით სვამდა ყანწა,
მომეტებულ სმისგან
სახე დაეპრანჭა!..
გადაკრული ყანწა
მადიანად ჭამდა! —
ინდაურს და ქათამს
ძვლებიანად ნთქავდა!
ჭამა-სმისგან, ბოლოს,
გაუსივდა კუჭი!..
გადარჩენის ყველა
ცდა აღმოჩნდა ფუჭი!..
დასცინოდნენ ყანწას
ხინჩა, ჭიპა, ბახა...
შეაგროვეს სწრაფად
დასამარხი თანხა!..
მიაბარეს მინას
მოქეიფე კაცი!..
ჩააყოლეს საფლავს
ლიტრიანი ყანწი,
ერთი — დეკეული,
ერთი კასრი — ღვინო,
რომ იმქვეყნად ყანწამ
კარგად მოილხინოს!

კიტა ქავთარაძე

ნახ. ა. კანდელაკისა



...ჯანმრთელობის დაცვის სფეროში ზოგჯერ ვაწყდებით დაბალ კვალიფიკაციას, უსულგულობას, ბიუროკრატიზმსა და უხეშობას.

გაზეთებიდან

ნახ. მ. აბაშიძისა

— ექიმო, აი, აქ მტკივა!..

ნახ. გ. ფირცხალავასი

— ექიმო, ამ ყურში არ მესმის!..

— მიბრძანდით მარჯვენა ყურის ექიმთან, მე მარცხენას ვმკურნალობ!..

იურიდიული რევერანსები

1982 წლის 23 აპრილი

ქ. **გორის** სახალხო სასამართლომ ხიდმშენის № 39 რაზმს 1026 მანეთის გადახდა დააკისრა ქ. გორში, შიო მღვიმელის ქ. № 12 სახლში მცხოვრებ **ალექსანდრე ოთხების ძე გოგიაშვილის** სასარგებლოდ.

1982 წლის 21 მაისი

აღმასრულებელი ფურცელი ეგზავნება საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ორგანოების სამმართველოს, რადგან ხიდმშენის № 39 რაზმი ქ. თბილისში, გორგასლის ქ. № 3-ში ბინადრობს.

1982 წლის 1 ივნისი

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო აღმასრულებელ ფურცელს უგზავნის ქ. თბილისის კიროვის რაიონის სახალხო სასამართლოს.

1982 წლის... (თვე და რიცხვი უცნობია)

ქ. **თბილისის** კიროვის რაიონის სახალხო სასამართლო აღნიშნულ ფურცელს უგზავნის ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონის სახალხო სასამართლოს.

1982 წლის 20 აგვისტო

ქ. **თბილისის** პირველი მაისის რაიონის სახალხო სასამართლო იმავე აღმასრულებელ ფურცელს განმარტებით — „ალიმენტის გადახდევინების თაობაზე" (??!!) უგზავნის ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის სახალხო სასამართლოს.

1982 წლის 22 ოქტომბერი

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო გორში ატყობინებს ა. გოგიაშვილს: **„ა/წლის 15 სექტემბერს ა/ფურცელი გადავუგზავნეთ პირველი მაისის სახალხო სასამართლოს"**.

1982 წლის 17 ნოემბერი

ქ. **თბილისის** პირველი მაისის რაიონის სახალხო სასამართლო აღმასრულებელ ფურცელს უგზავნის ოქტომბრის რაიონის სახალხო სასამართლოს (ასლი — კიროვის რაიონის სახალხო სასამართლოს).

1982 წლის 17 ნოემბერი

ქ. **თბილისის** პირველი მაისის რაიონის სახალხო სასამართლო გორში სწერს ა. გოგიაშვილს: **„სასამართლომ მიიღო თქვენი საჩივარი, მაგრამ გაუგებარია, ვის უნდა გადახდევინოს მითითებული თანხა"**.

1983 წლის 10 თებერვალი

ქ. **თბილისის** პირველი მაისის რაიონის სახალხო სასამართლო აღმასრულებელ ფურცელს უგზავნის ოქტომბრის რაიონის სახალხო სასამართლოს.

1983 წლის 14 თებერვალი

ქ. **თბილისის** პირველი მაისის რაიონის სახალხო სასამართლო გორში ატყობინებს ა. გოგიაშვილს, **რომ** სახბანკის განყოფილება, სადაც მის მოპასუხეს აქვს გახსნილი ანგარიში, **„ოქტომბრის რაიონის სამოქმედო უბანია"**.

1983 წლის 28 თებერვალი

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო სთხოვს ოქტომბრის რაიონის სახალხო სასამართლოს, **„დაუყოვნებლივ მიიღოს ზომები მითითებული თანხების გადახადევინებლად"**.

სამინისტრო სთხოვს, სასამართლოთა თავმჯდომარეები კი აღარ ამთავრებენ იურიდიულ რევერანსებს, ერთმანეთს უთმობენ იმის უფლებას, რომ მეკანონის ხელით აღასრულონ მართალი სამართალი, ვითომდა იმის მოსაბაბებით, რომ ხიდმშენი რაზმი № 39 ბინადრობს ერთ რაიონში, ხოლო სახბანკის განყოფილება, სადაც მას ანგარიში აქვს გახსნილი, მეორე რაიონშია, თუმცა იმასაც აღნიშნავენ ერთ-ერთ მიწერილობაში (და ხელსაც აწერენ), რომ სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებასთან **„რა კავშირი აქვს ადმინისტრაციულად დაქვემდებარებას, გაუგებარია"**.

აქვე გვაგონდება ჩიჩიკოვის სტუმრობა მანილოვთან (**იხ. ნ. გოგოლის „მკვდარი სულები"**): კარში შესვლისას სტუმარმა და მასპინძელმა ზომაზე მეტი თავაზიანობა გამოიჩინეს და რაკი ვეღარ გადაწყვიტეს, რომელი შესულიყო პირველი, ერთმანეთისკენ შებრუნდნენ და ასე გვერდულად ორივე ერთად შეიჭედა კარში!..

მაგრამ, იქნებ, უფრო მეტ თავაზიანობას მოითხოვდეს (აგრეთვე გულისხმიერებასაც) საქმე, რომლის უკან ადამიანია — **პირველი ჯგუფის ინვალიდი, ქვედაკიდურებწართმეული და სიარულისუნარმოკლებული?!**

ელგუჯა მერაბიშვილი

სატირული ლირიკა

„ჯენტლმენი“

ეგერ პალტო ჩააბარა, —
სამიანი აჩუქა!
ეგერ წვერი გაიპარსა, —
ხუთიანი აჩუქა!

ისაუზმა, —
ოფიციანტს
ათიანი აჩუქა!
ქალიშვილი მოეწონა, —
ასიანი აჩუქა!

— „რა კაცია!“
— „რა ჯენტლმენი!“ —
ხმებმა „გადაგვაშუქა“!
ეს კაცი კი,
ეს „ჯენტლმენი“,
ვინ გგონიათ,
ვინ გახლავთ?! —
გამგე არის
ერთი ბაზის, —
მთელი ბაზა
ვინც გახრა!

გაკვირვება

აქეთ წამოჰკრეს
ხელი!
იქით წამოჰკრეს
ხელი!
ხელის წამოკვრით,
ასე,
შემოსეს მწვანე
დაფნითა!..

მე მისი წინსვლა
არ მიკვირს,
მე ერთი რამე
მაკვირვებს:
ამდენი ხელის
წამოკვრით
რატომ ზეცაში
არ ფრინავს?!

ტელეფონი

ვიღაც დარეკავს,
ვიღაც
ყურმილს აიღებს,
ისმენს!..
ორივე ასე,
ამ გზით,
სულის,
სხეულის,
სკამის
სიცარიელეს ავსებს!

რევაზ ლორი:
(ლანჩხუთის რ-ნი)

ბარათები „ნიანგს“

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის **შუახევის** რაიონის მშრომელებმა, ვიდრე „ნიანგს“ მოსწერდნენ, ვის აღარ შესჩივლეს თავიანთ გაჭირვებაზე! რაიონული გაზეთიც არაერთხელ ამოუდგა სოფელს მხარში, მაგრამ, **ავტოსატრანსპორტო საწარმოს ხელმძღვანელებს**, ავტობუსის გარდა, ბევრი რამ სხვაც ეშლებათ და ამიტომ შუახევი — ჩანჩხალოს სამარშრუტო რეისები სისტემატურად იშლება!..

●

გორის რაიონის **სოფელ მერეთში კლუბი არატიპიურ შენობაშია მოთავსებული**, მეორე სართულზე, კედლებიც ამას „ტირიან“, მერე კიდევ აივანიც ირყევა, ამ რყევაში, 365 სკამიდან, ამჟამად 85 სკამიღა დგას ფეხზე (ხალხის ფეხზე დგომა რა პირად მოსატანია?!). თურმე სოფლის თავკაცები თავს „მერე-მერეს“ ძახილით ინუგეშებენ, მაგრამ ამდენი „მერე-მერეთი“ წინ ვერ წავა **მ ე რ ე თ ი!**

●

ამიერკავკასიის **რკინიგზის** **სადგურ ქსნის** თანამშრომელი **ი. ადამაშვილი** იტყობინება: „ჩემმა წერილმა იტრიალა-იტრიალა, მრავალი წრე გააკეთა და, ბოლოს, შესასრულებლად ისევ მე უბედურს დამიბრუნდა!.. გამოდის, რომ რაისაბჭოს კი არ ემორჩილებიან ის ორგანიზაციები, რომლებიც ანაგვიანებენ სადგურის მიმდებარე ტერიტორიას, არამედ, თურმე, მე — მეისრეს, ე. ი. „კუდს უფრო მეტს ეკითხებიან, ვიდრე თავს“.

ლაპარაკია წერილზე, რომელიც **ი. ადამაშვილისაგან** ამაზე ადრე მიიღო „ნიანგმა“ და ზომების მისაღებად მცხეთის რაისაბჭოს აღმასკომს გადაუგზავნა.

ჰაი-ჰაი, რომ ზომების მიღებასაც მოზომვა სჭირდება!

ბაბუას თაღგამი მიქარავს!..

საშვილიშვილო **ს ა ქ მ ე ს** აკეთებს ჩვენი კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერთა ჯგუფი, რომელიც მუშაობს ახალი ჯიშის ბოლოკის (ხომ გახსოვთ ზღაპარი — „ბაბუამ დარგო თალგამი“, სწორედ ისეთის) გამოსაყვანად, წელიწადში მისი მოსავლიანობის ორმაგად გაზრდით. ჯგუფის წევრებს ყველა პირობა აქვთ შექმნილი მეცნიერული მუშაობისათვის — მათთვის გამოყოფილია კეთილმოწყობილი ლაბორატორია, მიწის ნაკვეთი, ხარწყავი, ნაკელმზიდი და მხუბუქი ავტომანქანა — „რაფის“ ტიპის პატარა ავტობუსი, მომაგრებული ჰყავთ ოთხი მძღოლი, ერთი მეტყევე, მეველე, აგრონომი, დარაჯი და ათი დამხმარე მუშახელი. ტყეში გაბმული აქვთ ჰამაკები (თითოს — ორ-ორი, ერთი — თავიანთთვის, მეორე — სტუმრებისთვის), რათა ზაფხულის პაპანაქება დღეებში დაძაბული შრომის შემდეგ დღეში 3-4 საათი ინებივრონ და აღიდგინონ მეცნიერების მხსვერპლად გაღებული ენერგია!.. შესანიშნავი ბუნება — სიგრილე, სუფთა ჰაერი, ანკარა, ცივი წყალი, ასწლოვან ხეთა ჩრდილი, ნიავზე ფოთოლთა შარიშური რომანტიკულ გუნებაზე აყენებს მეცნიერებს. სულ მალე მათ მიერ გამოყვანილი ახალი ჯიშის არომატული ბოლოკი წელიწადის ყველა დროს დაამშვენებს ჩვენს სუფრას.

სარგის მირზოიანი

7-83

83-417



დაე, კარგად შეიგნონ ვაშინგტონში, რომ, დროა, თავი დაანებონ იქ ახალი ვარიანტების გამოგონებას, უკეთ როგორ დაიწყონ ბირთვული ომი მისი მოგების იმედით. ეს არათუ უპასუხისმგებლო, არამედ უგუნური საქმეცაა.

გაზეთებიდან

ნახ. ბ. მორჩაძისა

№ 417 83 ჭადრაკული ვარიანტი

შეწოვეს. 19 წელი 30/VI

ეროვნული ბიბლიოთეკა

სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“ № 9 (1643) მაისი. გამოდის 1923 წ. ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი
ზაურ ბოლქვაძე

სარედაქციო კოლეგია:

ჭაბუა ამირეჯიბი, ნომადი ბართაია, ბორის გურგულია, ნოდარ დუმბაძე, რევაზ თვარაძე, ჯემალ ლოლუა, ნოდარ მალაზონია (მხატვარი - რედაქტორი), **ალექსანდრე სამსონია, ბეჟან სიხარულიძე** (პასუხისმგებელი მდივანი), **გიგლა ფირცხალავა, ჯანსულ ჩარკვიანი, თამაზ წივწივაძე, ვაჟა ჭანიშვილი** (მთავარი რედ. მოადგილე), **ნაფი ჯუსოითი.**

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ კუხალაშვილი

გადაეცა ასაწყობად 12. 4 83 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 24. 5. 83 წ. ქაღალდის ზომა 60X90 1/8 ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი, 1,25, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1,7. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა, ლენინის, 14. შეკვეთა № 1033 უე 00075 ტირაჟი 138.000. ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 380008 თბილისი-8 რუსთაველის პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-55-54, მთ. რედ. მოადგილის — 93-19-42, პ/მგ მდივნის — 93-10-78, მხატვარი-რედაქტორის — 99-02-38, განყოფილებათა გამგეების — 93-49-32, რედაქტორ-ლიტმუშაკების — 99-02-38, მდივანი - მემანქანის — 99-76-69.

Сатирико - юмористический журнал «НИАНГИ» (На грузинском языке) Тбилиси, пр. Руставели № 42. Издательство ЦК КП Грузии, Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, улица Ленина № 14.

ფასი 20 კაპიკი
ინდექსი 76137